განმარტებითი ბარათი

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსაახურის 18.12. 2012 წლის N 475707 გადაწყვე-ტილებით და 24.12.2012 წლის ქ,თბილისის მერიის N 3465 განკარგულებით მოცემულ მიწის ნაკვეთზე განაშე-ნიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 გაიზარდა 4.0 დან 5.0 მდე.
კორექტირებული პროექტით კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი არის- 18931,3 კვმ.

კ-2 =18931,3 /3799 =4.98= 5

K2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიში განხორციელდება ფორმულით: L/K2 [K^{1}2 -(K2 +K2 -ის20%)]S= მასაკრებელს,
სადაც:
L --- ტერიტორიის ნორმატიული ფასი = 51 ლარი.
K2 --- არსებული ინტენსივობის კოეპიციენტი =4.0.
K^{1}2 --- ინტენსივობის საპროექტო კოეფიციენტი =5.0
S ---- მიწის ნაკვეთის ფართი = 3799 კვმ.
ამდენად მოსაკრებელი = 51 / 4 [5 - (4 + 0.8)] 3799 = 9687.45 ლარი

თანხა სრულად იქნება დაფარული ნებართვის გაცემიდან მე 12 თვეს

პრ. მთ. არქიტექტორი : ერეკლე მაჭარაშვილი

პასუხისმგებელი პირი : გიორგი ჯაღიაშვილი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 3465

„ 24 „ დეკემბერი 2012 წ.

ქ. თბილისში, გულუას ქ. №1-ში არსებული მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 12 დეკემბრის სხდომის №49 ოქმის შესაბამისად:

1.ქ. თბილისში, გულუას ქ. №1-ში არსებული მიწის ნაკვეთზე-მრავალფუნქციური შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ=5,0.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოხაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება; ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE68LB0125152101628359.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის სივარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის სივარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა